№ 65 27 თიბათვე, ქვირა 1866—1876 27 თიბათვე, ქვირა № 65

რედაქცია

ველიამინოვის ქუჩაზე, ارტემ ჩაიგეშტოვის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „*Дроэба*“.

გაზეთის ფასი

წელიწადში 8— მან., ნახევარ წელიწადში— 4 მან. და 50 კაპ., თვეში—1 მან.
Ცალკე ნომერი—ერთი შაური.

დროება

გამოდის ქვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანგ-ცუზულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე—8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ.—5 კაპ. და პეტიტით—4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდე ბ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქციაში (ველიამინოვის ქუჩაზე, ჩაიგეშტოვის სახლებში) მიიღება

ნახევარი წლის ხელის-მოწერა

„დროებაზე“

ფასი ნახევარ წლისა— — — 4 მან. და 50 კაპ.
სამის თვისა— — — — 2 მან. და 50 კაპ.
ერთის თვისა — — — 1 მან. „ „ „

მთელი წლის ეგზემპლიარები მხოლოთ რამდენიმეა დარჩენილი კიდევ რედაქციაში და მსურველს ამ წლის გამოსული ნომრები ყველა ერთად გაეგზავნება.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა შემდეგის ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „*Дроэба.*“

ხვედრი ფასი გაზეთის დაბარებისათანავე უნდა გამოგიგზავნოს რედაქციაში.

ხელის-მოწერა

ზაქათალის მცხოვრებთათვის

	მან.	კაპ.
სტ. ზარაფოვი — — —	10	„
ნ. ნ. — — — — —	5	„
სულ—	15	„
ადრინდელი სიით — —	106—	90კ.
სულ „დროების“ რედაქციაში—	121—	90კ.

ეს შეწირული ფული სამშაბათის ფოჩტით გაიგზავნება ზაქათალას, უფ. როტმისტრის კოსტანტინე პეტრეს ძის ქამსარაკანის სახელობაზე.

საქართველო

იარმუკობა

—

განათლებულ ქვეყნებს არ მოვიყვან იმის მაგალითად, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის ცხოვრებაში იარმუკებს; მივაქციოთ ყურადღება ჩაეკასიას, ესე იგი თერგისა და ყუბანის თემს, რადგანაც ესენი უფრო ჩვენი მომიჯნავენი არიან.

ამ აღნიშნულს ადგილებში, გაზაფხულის პირიდამ დაწყობილი, ვიდრე დაზამთრებამდე, დაიწყება ხოლმე მორიგი იარმუკობა, ზოგან ორი და ზოგან თითო კვირა. შესანიშნავი იარმუკობა იცის:—ბიორგიევსკში, სტავროპოლში, ვლადიკავკაზში, მოზდოკში, ბროზნაში, პიატიგორსკში. ახლა ჩამოვთვალო სტანიცების (ყაზახების სოფლების) იარმუკობა: ბარიაჩევოდსკაში, ლაბინსკაში, მოზდვიჟენსკში, ალექსანდროვსკაში და სხვ. და სხვ.

ამ იარმუკობაში საზოგადოთ ხალხი ხალისით და ბეჯითად მოძრაობს. ადგილობრივი მცხოვრებნი და მომსვლელნი ხალხი და ვაჭარნი არიან ერთმანეთში დარეულები. მამოაქვს ყველას თავისი ნაწარმოები: ხელით მონაქსოვი თუ ქარხანისა, მიწის სამუშაო იარაღი და სხვ. მრავალი საქონელი: მოელალებიან აუარებელ ნახირს, ცხენის ჯოგს, ცხვრის ფარას და სხვ.

ყოველი ადამიანი ვინც, რასა ჰსაჭიროებს, იმას ყიდულობს და რაც მომეტებული აქვს, ჰყიდის.

ჩვენს საქართველოში იარმუკობა საუფლო დღესასწაულებს უჭირავს; მაგალითად: ჯვარის-ამაღლებას, შუამთობას, თერთ ბიორგობას, მარიამობას და სხვ.... მაგრამ ჩვენს ცხოვრებაში ეს ვერ დააკმაყოფილებს იარმუკობის მოთხოვნილებას, ამიტომ რომ მცხოვრებნი მხოლოდ მღვთის თაყვანის საცემლად გამოდიან და არა თავიანთ ნაწარმოების გასაღებლად. ხოლო რაიცა შეეხება ჩოდრებს და ახლო-მახლო მოვაჭრეებს, ესენი-კი ამ შემთხვევით სარგებლობენ და მოაქვსთ თავიანთი დამპალი საქონელი და ასაღებენ დიდის ფიცითა და ლოცვითა.

ასე თავდება ჩვენში იარმუკობა საუფლო დღესასწაულებში და ისიც ერთს დღეს.

ქუთაისის გუბერნიაში კარგი მაგალითია ქუთაისის გუბერნიის დაბა ხონში ბაზრობა დილით სალამომდისინ, რომელსაც „პარასკეობას“ ეძახიან, რადგანაც მხოლოდ ყოველ პარასკეობით გაიმართება ხოლმე, სადაც ჩამოაქვსთ ახლო-მახლო მცხოვრებლებს თავიანთი ნაწარმოები და ასაღებენ ერთი-ერთმანეთში. ამას გარდა იქ იციან იარმუკობა სამეგრელოს და ზურიის რამდენსამე სოფელში.

თფილისის გუბერნიაში იარმუკობა, როგორც „დროებამ“ გვაცნობა, დუშეთში დაეწყოთ ამას წინათ, მაგრამ ჩქარა მოსწყენოდათ და ისევ ჩაეშალათ. 1874-ში თელავში დაიწყეს იარმუკობა, მაგრამ დიდხანს ვერ იბოგინა, რადგან არავინ იცოდა და კაცი არ მიდიოდა საეჭროდ.

იარმუკობა უნდა იმართებოდეს ხალეათ ფართო ალაგას, ქალაქს ან სოფელს გარეთ, რომ ყველანი თა-

ფელეტონი

ხერხი

—

ღმერთმა კარგი მოგცესთ, სწავლა კარგი რამ იყოს, და საჭიროც არის ჩვენი შვილების მაღალ-სასწავლებელში გამოზრდა, რომ ერთი რამ არ გვაშინებდეს: იქ გამოზდილები თავის მტერები არიან: სწავლა მეტი აქვსთ, ჭკუა ბევრი, მოხერხება არ აკლიათ და ზარმაცობასაც ვერავინ შესწამებთ, მუდამ მოუსვენრობაში არიან; მაგრამ მაინც სად მიუდისთ ანუ რად უნდათ ამდენი იარაღი, ეშმაკმა იცის?!. მათგან შეძენილი კი ვერა ვნახეთ რა! მუდამ ჯიბე-გაფხეკილები დაიარებიან!...

მაშინ, როდესაც შინაურულად, თითო გროშით გამოზდილები კი კეთილ-დღეობენ და თვალ-და-თვალ წარმატებაში შედიან.

მაგალითად მოვიყვან ერთს ამგვართაგანს, დღეს დარბაისლათ ჩარიცხულსა და გაკეთილ-დღევებულ—ხელჯოხიანს, და გიანბობთ, თუ როგორ გასუქდა ეს ოდესმე ჩხიკვით გამხდარი კაცი:

დაბლიდამ დაიწყო და იმდენი იხოხა, რომ მაღლა აჩოჩდა; იქ ზურგი მოიმაგრა და იწყო კეთილ-დღეობის მომკვა. მართალია, რაც ქირა ეძლეოდა, ორ იმდენს ხარჯავდა და ოთხ იმდენს შავ დღისათვის აგროვებდა; მაგრამ ვის შეეძლო, რომ ის ურიგო რამეში დაეჭირა?

ქაცი სხვასა ჰგლეჯდე, მითი კეთდებოდე, ეს ყველამ იცოდეს, მაგრამ ვერავინ გიჭერდეს,—ეს მოხერხება არ არის და დიდი ჭკუა? არა, საქებია ამისთანა კაცი, თუ არა? რასაკვირველია, ქების ღირსია და კიდევაც აქებენ!!.

რითი ახერხებს ეს კაცი ამდენს? მითი, რომ იცის—როდის რა უნდა და სად როგორ: დროზედ აბძანდი, დროზედ დაბძანდი, დროზედ მომეცი, დროზედ მიირთვი, დროზედ მობძანდი და დროზედ წა..ბძან..დიი.. ესეები მიუგნია, შეუსწავლია და ის არის.

ახლა ეს რომ მაღალ სასწავლებელში ყოფილიყო გამოზდილი, ამაებს არაფერს არ ჩაიდენდა, და შეიქნებოდა გახრეკილი!..

ამ კაცმა გზების წყალობით მამულები იყიდა და დღესაც მისთანა სახლსა აშენებს ამ ჩვენ ქალაქში, რომ ავის თვალით არ ინახება, და იცით როგორ შეიძინა ეს საუნჯე? ერთს ღენერალს ორი ათასი თუმნის ადგილი ოთხას თუმანში ჰქონდა გირაოთ; მოვიდა დრო, მოვალეს აღარ შეეძლო გამოხსნა. ამ საქებმა კაცმა გამოართვა ვექილობა ღენერალს, მოახდენია ეოჭრობა ისე, რომ კაცს არ გაუგია, და ოთხასს თუმანში დაირჩინა ამოდენა ადგილი, რომელიც მერე თავის სახელზედ გადაიტანა.

ეს არაფერი, კიდევ უკეთესი რამეც მოახერხა: როდესაც ხერხით შეძენილ ადგილს იბარებდა საიდუმლოდ, სხვისი ადგილიც ჩაიყოლია და მიიწერა. როდესაც ადგილის პატრონმა გაიგო, მოვიდა და უთხრა:

— როგორ გინებებიათ ამისთანა ცხადი საქმე? ძვეყანამ იცის ჩემიაო!

— არაფერია, ნუ შესწუხდებით: მეც ვიცი, რომ თქვენია და შეცდომით ჩაშყოლია, მაგრამ თქვენ განაცხადეთ სასამართლოში და მე თვითონ გავასწორებ ამ შეცდომასო.

დააჯერა ადგილის პატრონი და როდესაც შეიტყო იმისაგან დანიშნულ მოწმების სახელი და გვარი, მაშინ მოპასუხემ იმ მოწმებზედ გამოიგონა სხვა და სხვა საქმეები და უჩივლა იმავ სასამართლოში! მოწმებს ძალიან გაუკვირდათ ამგვარი მოქმედება, მაგრამ ბოლოს კი გაიგეს—თუ რა ანბავიც იყო. საქმის გარჩევის დღეს მოპასუხემ განაცხადა:—ადგილი ჩემია და ამ მოწმებს კანონით არცერთს არ მიეიღებ, რადგან მაგათზედ მე საჩივარი მაქვს შემოტანილიო. რასაკვირველია, მოწმეები გადააყენეს და საქმე მოპასუხემ მოიგო...

აი მოხერხება!... ბამწარებულმა მომჩივარმა უთხრა: — ეს საქმე განა საკადრისია თქვენის სინიდისათვისო? და ამას პასუხი ეს მიუგო გამარჯვებულმა: „ცხოვრებისათვის ბრძოლა საზოგადო კანონიაო!“

ჩვენ კი მოგვწონს ეს ფილოსოფოსური ჰაზრი, მაგრამ იმათ, რომელნიც იმის ხელ-ქვეითები არიან, მოეწონებათ თუ არა ეს ჰაზრი. როგორ ჰფიქრობ, მკითხველო?...

ამ ხერხიანი კაცის
უხერხული ძმა თონიკე

ვისუფლად მოთავსდებოდნენ ხოლმე მენახირე, მეურნე, ეაჭარი და სხვ.... ამასთანავე ყველამ უნდა იცოდეს დროა იარმუკობისა და სად იმართება, რომ თავიანთი ნაწარმოები იქ წაიღონ.

ბ. ბ.

დღიური

—

დღევანდელ ჩვენს გაზეთში ვბეჭდავთ ახალ-სენაკიდამ მიღებულ კორრესპონდენციას, რომლიდამაც შეიტყობთ, რომ, ამ უეზდის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელის უთაობით, ქალაქს ათასი მანეთი დაუკარგავს, ფული, რომელიც ერთი იქაური თავადისაგან იყო შეწირული და რომელიც ახლა ძალიან გამოადგებოდა, სხვა რასმეში თუ არა, წყლის გაყვანისთვის მაინცაო.

ურადღების მისაქცევია ეს გარემოება, არათუ იმით, რომ ფულის ჯამი ბევრია, ანუ მართლა ქალაქს რაიმე დიდი ზარალი მისცემოდეს ამ ფულის დაკარგვისაგან. არა, ეს გარემოება გვიმტკიცებს—თუ როგორის გულ-ავარდნითა და დაუდეგრობით ეპყრობიან საზოგადოების ქონება ზოგიერთი ჩვენი უეზდის უფროსები.

ჩვენის ჰაზრით, თუ ეს ამბავი უეჭვოა და ნამდელი, თუ ნამდვილია, რომ ქ. ახალ-სენაკმა ასი თუმანი დაჰკარგა მხოლოთ იმ ხსენებული ჩინოვნიკის ჰ—ის დაუდეგრობით, ქალაქს სრული უფლება აქვს უჩივლოს, სადაც რიგია, და დარწმუნებული ვართ, რომ სამართალი გადაახდევინებს იმას ამ ფულსა. სხვების სამაგალითოდ მაინც კარგი იქნება ეს საჩივარი, სხვები მაინც უფრო გაუფრთხილდებიან შემდეგ საზოგადო ქონების მოვლასა...

***

ამ თვის 23-ს კავკასიის ნამესტნიკის მთავარ სამმართველოს უფროსი სენატორი ალუშინი, სამსახურის საქმეებისათვის, ოც-და-შვიდის დღის ვადით წავიდა პეტერბურღს.

***

ბუშინ საღამოს იყო უკანასკნელი სხდომა ჩვენი ქალაქის ბამგეობისა. ამ ზაფხულის განმავალობაში, როგორც ამას წინათაც გამოვაცხადეთ, ქალაქის ბამგეობას სხდომები აღარ ექნება, ვიდრე შემოდგომამდე (ენკენისთვემდე).

***

მკითხველს ეხსომება საქმე შორაპნის უეზდის სასამართლოს სეკრეტრისა უფ. პატარიძისა, რომელსაც ამ სამართლის ფულების (2,635 მან.) დახარჯვას აბრალებდნენ. შორაპნიდამ გვწერენ ახლა, რომ დახარჯული ფული, 2,635 მანეთი კი არა, 3,800 მანეთი გამოდგაო, და ამ საქმის თაობაზე გამოძიება ჯერ კიდევ არ გათავებულაო.

***

ჩვენ შვვიტყეთ, რომ ხვანჭკარის საზოგადოებაში (რაჭაში) გაუხსნიათ გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობა, რომელიც, როგორც ამის წინაზედაც იყო ჩვენს გაზეთში მოხსენებული, თ. პოსტ. ზიფიანის და უფ. ნანუკოვის კეთილშობილურის თაოსნობითა და მეცადინეობით დაარსდა. ეს პირველი ამხანაგობაა რაჭაში და თუ ამ გვარ სასოფლო ბანკებიდამ რაიმე სარგებლობას მოელიან, საჭიროა, რომ ეს პირველი კარგათ, სამაგალითოდ წაიყვანონ.

***

იმერეთიდამ გვწერენ, რომ დაბა ხონის მახლობლად, სოფ. მათხონჯს დაუჭირავთ ის გამოჩენილი ლეჩხუმელი ყაჩაღი ალექსი მანდარია, რომლისგანაც მთელი ქვემო იმერეთი დაფთხობილი და შეწუხებული იყოვო. ეს ავაზაკი ვიღაც ცხერის პატრონს დაუჭირავს, რომელსაც ცხვარი მოსტაცა თურმე, და მათხონჯის მამასახლისისთვის წარუდგენია. მამასახლისი ვერ იცნობდა მანდარიას, რადგან თავის დღეში არ ენახა; ვიღაც ნათესავმა გასცა ის თურმე და უთხრაო მამასახლისს, რომ ეს კაცი ის მანდარია არისო, რომლის დაჭერისათვის პოლიციისაგან ჯილდო არის დანიშნულიო. ბახარებულმა მამასახლისმა შეთოკა თურმე იმწამსვე მანდარია, შესვა ცხენზე და ქუთაისს წარუდგინა მთავრობას, რომელმანც იმასა და მეცხვარეს თითოს ხუთ-ხუთი თუმანი მისცა საჩუქრად და ამას გარდა მამასახლისი შვილებიანად გაუმთავისუფლებიათ(?) როგორც სახელმწიფო მუშაობისაგან, აგრეთვე ფოჩტის გადასახადისაგან.

***

იმ ახირებული ქურდობის თაობაზე, რომელიც ამას წინათ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში მომხდარა და რომელზედაც წასულ ჩვენი გაზეთის ნომერში რამდენიმე სიტყვა იყო მოხსენებული, ერთი სარწმუნო პირისაგან შემდეგი შენიშნვა მიეღეთ:

„ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში ამ ერთი კვირის განმავლობაში დაიკარგა ერთი ფუთი ნავთი. რამდენიმე ხნის ძებნის შემდეგ, აღმოჩნდა, რომ ნავთი იყო ატანილი სასწავლებლის შენობის მაღლა, ჭერში, და მოპირქვავებული ზედამხედველის საწოლი ოთახის თავზედ. ზედ იყო მიყრილი თივა, ამასაც ზედ ჰქონდა მოსხმული ნავთი.

„ამ დროსვე გადმოაგდო ვიღაცამ ქაღალდი, რომელზედაც ეწერა რუსულათ, რომ „მალე ენახამ აღსასრულს ქუთაისის სასულიერო სასწავლებლისასო“, აგეთი ზედ დამატებით: „ქართული ანდაზაა: მე კი ვიყივლეფო, მაძალმა სთქვაო, და თუნდ გათენდეს, თუნდა არაო!.“

„თქვენი მტერი, ეს ერთათ-ერთი თვალის ჩინი ჩვენი იმერეთის სამღვდელოებისა მოხდებოდა უცვე ყოველად შესაწველ მსხვერპლად ცეცხლისა, რომ განგების ძალას არ დაეფარა და არ ატეხილიყო საშინელი წვიმა. ალბათ ამ წვიმამ შეაყენა ბოროტი, მაგრე კაცი და არ მიაცემინა ნავთისთვის წუმწუმა...

„საკვირველი ეს არის:—სასწავლებელისა რა ბრალია, რომ ვისმეს ზედამხედველის ჯავრი სჭირდეს და მისი დაღუპა უნდოდეს?!“

***

სოფელს ტირძნის (ბორისს მაზრაში) ერთი ცუდი ამბავი მომხდარა, რომელსაც ჩვენი კორრესპონდენტი ასე აგვიწერს:

„ღმერთმან თქვენი აეათ დამაწყევარი ისე შეაწუხოს, როგორც დღეს საზოგადოთ ტირძნისის მცხოვრებელნი არიან შეწუხებული:

„დღეს დილით ცისკრიდგან მომავალს მღვდელს, სოფლის ბოლოზედ, დახვედროდა დიაკვანი და ესროლა თოფი. სასიკვდილოთ დაჭრილი მღვდელი მიიტანეს თავის სახლში და საღამოამდინ სული განუტევა..

„ხალხი ორ გზით არის შეწუხებული: პირველი ამით, რომ ამ სოფელში თავის დღეში ამ გვარის შემთხვევით კაცი არ მომკვდარა,—და მეორე ამით, რომ მღვდლისა და დიაკვნის ცოლშვილი დარჩნენ ყოველად ულუკმოთ, ნამეტნავათ დიაკვნისა, რადგანაც სრულიად ღატაკი და ფრიად ღარიბი იყო.

„მიზეზი ამისთანა შემთხვევისა იყო, რო როგორც ამბობენ დიაკვანს აწუხებდნენ მღვდელი და ბლაღოჩინი, არ აძლევდნენ თავის ნაწილსა. ამის მიზეზით აიძულეს საცოდავი დიაკვანი და ეს მთელი ორი წელიწადი ბევრი ცილი შესწამეს იქამდინ, რომ ამ ერთი კვირის წინათ სრულიად გააგდებინეს და გამოარიცხვინეს სამსახურიდამ.

„ხალხს ეს დიაკვანი ძალიან ებრალებოდა, რადგანაც ხედავდნენ, რომ ყოველად უმიზეზოთ აწუხებდნენ და უჩივოდნენ. ამის გამო ორ გზივ თურმე იჩიენლა რომ დაეფარა და არ წაეხდინათ ამისი კეთილი სამსახური, მაგრამ მაინც ამით ვერ დაიხსნეს. უიმედოთ რაკი დარჩა, როგორც თითონ უჩივენებია დიაკვანს გამომძიებლისათვის, ამისათვის განუძრახამს ეს ბოროტება და მოკვლა ღვდლისა.“

უეჭველია, რომ ეს შემთხვევა მიაქცევინებს ვისგანაც ჯერ არს იმის ყურადღებას იმ წესებზე, რომელნიც ამ დროინდელ ჩვენს სასულიერო წოდებაში ჰსუფევენ...

„დროების“ კორრესპონდენცია

ქიზიყი, თიბათვის 19-ს. აი შემთხვევა, რომელზედაც თითქმის მთელი ქიზიყი ლაპარაკობს, რომელმანც მთელ ქიზიყის ხალხს თავსზარი დასცა და რომელმანც გააღვიძა და ააშფოთა მთელი ქიზიყელები:

კვირა არ გავა, რომ ერთი კაცი მაინც არ მოკვდეს; კვირა არ გავა, რომ სოფელში ერთი წვივილ-კვივილი და ვაება არ შეიქნეს! შეიქნა ჭლეტა უმოწყალოთ! ბევრი ყმაწვილი კაცი გამაასალმეს ამ წუთა სოფელს!

რა ამბავია?! ლეკებმა ესა და ეს კაცი მოჰკლეს! რა ამბავია? ლეკებს კაცი მოუკლავსთ!

აი საქმე რაშია: ქიზიყის ზოგიერთ სოფლელებს აქვსთ კალოები ალაზანს გაღმა, ლეკების ახლოს. როგორც თიბათვე დადგება, ხალხი სუ იქ არის ლუკმა-პურის მოსაპოვებლათ; მაგრამ ვაი ამისთანა ყოფნას! მომდგარან ის ღმერთზედ ხელ-აღებული ლეკები და სულ ერთიანად, მრუდეს; მართალს, გაჭირებულს, შეძლებულს, ვინც კი ჩვენი კაცი მოხვდებათ და იხელებენ, ისე აგორებენ, როგორც პანტა.

არის ერთი უბედურება და ვაიგლახი! მარტო მე, ვამბობ, რომ ამ მოკლე ხანებში ხუთ-ექვსი ბოდბის-ხეველები და ერთიც სილნაღში მოვაჭრე სომეხი მოჰკლეს. ატყდა ერთი შიშის ქარი. არავის აღარ შეუძლიან იფიქროს ლეკისაკენ წასვლა; და თუ ვინმე წავა, დაიარაღებული,—და კიდე გული უკანკალებს, არავინ მომკლასო. თუ დაბრუნდა შინ უვნებელი, თუნდა ერთი დღის წასული იყვეს, ისე მოესალმებიან და ულოცამენ ხოლმე მშვიდობით განთავისუფლებას, როგორც სიკვდილის სამარეში ფეხ ჩადგმულს, ზღვის ტალღიდგან გადარჩომილს, ან ომიდგან მშვიდობით გამოსულს.

ერთი სიტყვით, ომია, ომი ნამდვილი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ომში თვალ-წინა გყავს მტერი ხმალ-ამოღებული, რომელსაც შენც გულ-გრილად შეჰყურებ, როდის გამშხლართავსო, აქ კი მტერს ვერ ჰხედავ, სანამ ტყვია არ გაგიელის მეორე გვერდში, ან იარაღი ხორცს არ ჩამოგათლის!....

მიზეზი ამ შემთხვევისა?! სხვა და სხვა!. თავდაპირველი ამ ანდაზის სიტყვები: „მოვიდა თათარი, სიკვდილი მზათ არი!“ ხო იცით, ლეკები „რა თათრები არიან!“ მეორე მიზეზი, სხვათა შორის, ისიც არის, რომ ერთხელ ვიღაც ბოდბის-ხეველებს რაღაც საქმისათვის ერთი თუ მეტი ლეკი დაუჭერიათ, და საპატიმროში ჩაუგდიათ. ბევრი უთხოვნიათ სხვა ლეკებს იმ კაცის თუ კაცების ჩუქება, მაგრამ უარი;—იქ მომკვდარან. ამის შემდეგ გადამტერებიან ლეკები ქიზიყელებს, ნამეტნავად ბოდბის-ხეველებს და სადაც დაინახამენ, მოუკვლელს არ გაუშობენ. ჰარის (ზაქათალის) უფროსის წასვლამ უფრო გაამხნევა თურმე ლეკები კაცის კვლაზედ. „იმის დროს სუყველანი მოკუნტულები იყვნენ; ჩიტსაც ვერ მოჰკლამდნენ, არა თუ კაცსა, ასე დაშინებული ჰყავდა იმ ოჯახ-აშენებულსა და კურთხეულის შვილსა. იმისი წასვლა და ხალხის ეგეთი დაუზოგავი ხოცვა ერთი შეიქნა.“

ეხლა სოფლელებმა ყარაულები დააყენეს (ბოდბის-ხევიდამ ექვსი, სხვა სოფლებიდამ სამ-სამ, ოთხ-ოთხი კაცი) მინდვრებში, რომ საცა ეგეთი ლეკები ნახონ, შეიპყრონ. ყარაულებათ არიან გულადი, მამაცი, მოსულ-მოსული ვაჟ-კაცები, ყველა ცხენოსნები; ჯამაგირი გაუჩინეს თითოს თვეში თითო თუმანი. ამბობენ, სულ ასამდე ცხენოსანი ყარაული არისო. ერთიც ამათ უფროსად ამოირჩიეს. ამათი წყალობით ორი ლეკი შეიპყრეს და „შებოჭილი“ სილნაღში წაუბრძანეს. ეს გინკარგულება თვითონ სოფელმა მოახდინა. ამას გარდა ბოდბის-ხეველები თურმე თხოულობენ, რომ ვინც ლეკთაგანი ავაზაკი გაიელის იმათ სოფელში, ნება მისცენ, მოჰკლან, და გაანთავისუფლონ ის გმირი, „არსენა-კაცი,“ ყაჩაღი ბნედო, *), რომელიც სილნაღის

*) ერთი ვინმე ბოდბი-ხეურია, რომელსაც მეტის-მეტს ყოჩაღს ამბობენ. სამჯერ გამოქცეულია ციმბირიდამ. ისეთი სირბილი იცის თურმე, რომ ცხენი, კარგი ცხენი ვერ დაეწევა.

საპყრობილეში არის კარგა ხანია, რომ ისიც დააყენონ ყარაულათ. „თუ ეს კაცი დაგვანებეს, ამბობენ თურმე, მაშინ აღარა გვიშავს რა: მარტო ის დაგვიფარავს ლეკებისაგან.“ არ ვიცი, ამ უკანასკნელ ორ თხოვნაზედ ნებას მისცემს მმართებლობა ბოდბის-ხევს, თუ არა.

როგორც უნდა იყვეს, მაგრამ ამ საგანს კარგი ყურადღების მიქცევა და თადარიგი ეჭვირება მთავრობისაგანაც, თორემ ცუდათ არის საქმე!...

Ѳ. ქორიძე

ახალ-სენაკი, 22 ივნისს დაგპირდით რამოდენიმე სიტყვას ახალ-სენაკის უწყლობაზედ. ეხლა მსურს შევასრულო ეს დაპირება.

ვინ არ იცის, რომ ხალხის ხასიათზედ და მთელს მისს ცხოვრებაზედ დიდი გავლენა აქვს გეოგრაფიულ მდგომარეობას იმ მხრისას, რომელშიაც ცხოვრებს ხალხი. შავი ზღვის სიახლოვეს, ბერძნებისა და ძველად განათლებულის გარეშე ქვეყნების სხვა ხალხების გავლენას სამეგრელოზე, რასაკვირველია, ის ვაჭრობის სურვილი და საზოგადოდ აღებ-მიცემის ელემენტი უნდა დაებადებინა მეგრელებში, რომლითაც ისინი ახლა განსხვავდებიან საქართველოს სხვა ხალხისაგან.

ეს ჰაზრი უწინდელ სამეგრელოს მთავრობასაც ძრიელ კარგათ ჰქონდა გაგებული და რაც შეიძლებოდა, ცდილობდა დახმარებოდა ხალხს ვაჭრობასა და წარმოებაში და მის გავრცელებაში.

ამის დასამტკიცებელად მოვიყვან შემდეგს მაგალითს: უკანასკნელმა სამეგრელოს მთავარმა—დავით დადიანმა არხის გაყვანა დაიწყო ჯუმის მდინარიდან მდინარე ჭურიის შესაერთებლად, რომელიც შეერთვის შავ ზღვას; ამ არხით ნავები უნდა მომდგარიყვნენ შუაგულ სამეგრელოში, ესე იგი ს. ცაიშს, ზუგდიდით 8 ვერსტზე. რომ დადიანი იმ დროს უცებ არ მომკვდარიყო, იმ არხს მალე გაათავებდა და დიდი მნიშვნელობაც ექნებოდა ახლა სამეგრელოსთვის.

ამას გარდა მთავარი ვისაც შენიშნავდა, რომ ვაჭრობის ნიჭი და სურვილი აქვს, ხელს უწყობდა ფულის სუსხით და სხვა სამუალებით. საზოგადოდ მართალი უნდა ვთქვათ, რომ დავით დადიანმა თავის დახმარებით და წაქეზებით ცოტ-ცოტათი გამოიწვია მეგრელებში ვაჭრობის სურვილი, რომელიც, თუმცა შეადგენდა მეგრელების უმთავრესს ტიპიურს ხასიათს, მაგრამ სხვა და სხვა გარემოების გამო, ეს ხასიათი და სურვილი თითქო მკვდარი და დაცემული იყო.

ეხლა კი სრულიად სხვა არის; ეხლა თქვენ ვერ ნახავთ მთელს კავკასიაში ისეთს ალაგს და ნამეტურ შავი ზღვის ნაპირ ქალაქებს, სადაც მეგრელები არ ვაჭრობდნენ.

ამის შემდეგ ყველა დამეთანხმება, რომ თვით სამეგრელოში საჭირო არის ისეთი საკვაჭრო პუნქტი, რომელიც სიმრთელიანი და მოთავსებული იყოს ცხოვრებისათვის; წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც ვაჭრობა ვერ იხვირებს და ბიჯს ვერ წაადგამს წინ, ეგრეთვე ის ადმინისტრაციისა და სუდის მოსამსახურე პირები, რომელნიცა ვალდებულნი არიან იცხოვრონ უეზდის ქალაქში და მასთან მთელი უეზდის მცხოვრებნი, რომელთაც, აუცილებელ საჭირო საქმეთა გამო, უნდა იარონ და რამოდენიმე დღეობით და კვირაობით იცხოვრონ ქალაქში,—ვერ აიტანენ ისრეთს ნაკლულევანებას, როგორც მაგალითებრ; ადგილის უწყლობას, ცუდს ჰაერს და სხვ...

ახალ-სენაკს, რომელიც დღეს უეზდის ქალაქია ჩვენში, სრულიად არა აქვს წყალი; აქ მდინარე ორ ვერს ნახევარზე ახლო არ არის; ჭის წყალი, რომელსაც აქ ხმარობენ, ერთობ მავნეა, მისთვის რომ რადგანაც ჭაობიანი ადგილი არის, მატლი და სხვა და სხვა ჭიები ხშირად შეგხვდებათ ხოლმე და გემოც არა აქვს სასიამოვნო და ფერიც. ამასთან უბედურება ის არის, რომ ეს ჭიებიც ხშირად შრებიან ხოლმე.

ამისთანა შესამჩნევი ნაკლულევანება, როგორც უწყლობა, დიდათ აფრთხობს ხალხს, თორემ, უეჭველია, ეს ქალაქი ეხლა კარგათ მოშენებული და გაცხოველებული იქნებოდა ვაჭრობით და სხვა გვარ საზოგადოებრივი ცხოვრებით.

წყლის მოყვანა აქ თუმცაღა შეიძლება, მაგრამ ერთობ ძვირად დაჯდებაო, ლაპარაკობენ, და საშუალებაც არ არისო.

ქალაქის საზოგადოება ჯერ ძლიერ ცოტა და ღარიბია, და რაც საშუალება ჰქონდა ქალაქს წყალის ვამოსაყვანად, ისიც დაუკარგეს. აგიხსნით როგორ:

ერთმა აქაურმა მებატონემ თ. ბ. მხეიძემ ასი თუმანი შესწირა ქალაქს წყალის მოსაყვანად. ეს ასი თუმანი ქალაქს უნდა მიეღო ხაზინიდამ, საიდამაც მხეიძეს ერგებოდა ეს ფულები.

რადგან ქალაქის გამგეობა და მზრუნველობა ადგილობრივ ადმინისტრაციის მოვალეობას შეადგენს, რასაკვირველია, მას უნდა ეზრუნა ამ ფულების მოთხოვნაზე. უეზდის ნაჩალნიკის თანაშემწე უ. ჭ,—ს რომელიც იმ დროებში უეზდს მმართავდა, ეს საქმე სულ დავიწყნია. როცა ახალი უეზდის უფროსი მოვიდა და გაიგო, რომ ფული ქალაქს ჰქონია, მარამ ამღები ვერ უშოვნიაო, მოითხოვა ხაზინიდამ, მაგრამ უარი უთხრეს: ამ ფულების მოთხოვნის ვადა გავიდაო.

და ამ სახით დაეკარგა ქალაქს ასი თუმანი, რომელიც ახლა წყლის გაყვანისათვის კარგათ გამოადგებოდა, და დაეკარგა იმისთანა კაცების წყალობით, რომელნიც უფრო თავიანთ კუჭზე და სიამოვნებაზე ჰფიქრობენ, ვინემ ქალაქისა და საზოგადოების სარგებლობისათვის...

N.

უცხო ქვეყნები

ოსმის ამბავი. სერბიის სატახტო ქალაქიდამ ბელგრადიდამ მოსული დეპეშა უარჰყოფს ოსმალების გამარჯობას; ის ამბობს, რომ ნიშთან ჩვენი ღენერალი ჩერნიაევი დარჩა გამარჯვებულიო; აგრეთვე ბელინისთანაც ჩვენმა ჯარმა გაიმარჯვაო.

მეორე ტელეგრამმა („ალეკზანდრეა“ 23 ივნისის) გვაცნობებს, რომ სერბიელებს სამი სოფელი აუღიათ: სეჩენიცა, დუდულიაცი და ტოპოლნიცა, რომელნიც თათრების ხელში იყვნენო.

ამის შემდეგ არაფერი ამბავი არ მოსულა თფილისში ბრძოლის ველიდამ იმის გარდა, რომ სოფ. რაჩასთან სერბიის და ოსმალოს ჯარებს ფიცხელი შეტაკება ჰქონიათ და რამდენიმე საათის შემდეგ ეს სოფელი აგრეთვე სერბიელების ხელში დარჩენილა. არაფერი არ ისმის აგრეთვე იმაზე—თუ ჩერნოგორიის ჯარები რა მონაწილეობას იღებენ ამ ბრძოლაში, იმარჯვებენ ისინი თუ მარცხდებიან.

— ერთს სლავიანურს გაზეთში იწერებიან, რომ ომის გამოცხადების დროს, სერბიას 120,000 კაცი ჰყავდა დამზადებული და დაიარაღებული. ოსმალოს ჯარი კი ნიშის ციხესთან 36,000 კაცამდინ ადიოდაო და ამ მოკლე ხანში კიდევ ახალს ჯარს მოელიან სტამბოლიდამაო.

— ქანდიის კუნძულზე ხალხი ისეთ ნაირად არის თურმე აღელვებული, ოსმალოებსა და ქრისტიანებს შუა ისეთი განხეთქილება და მტრობა ჩამოვარდა განსაკუთრებით ამ უკანასკნელ დროსაო, რომ დღე-დღეზე მცხოვრებლების აჯანყებას უნდა მოველოდეთო,—ასე იწერება ერთი ფრანცუზული გაზეთის კორრესპონდენტი.

— ბერლინიდამ იწერებიან, რომ იქაური აჯანყებულების მოთავეები რაგუზაში შეკრებილან და ჰქონიათ მოლაპარაკება ჩერნოგორიელებთან შეერთებაზე და ბრძოლის საერთო პლანის დაწყობაზე. თუმცა ამჟამად ბერლინიდან თითქო დაიღალა ხალხი და ისეთის გაცხარებით აღარ ებძვრიან ოსმალებს, როგორც შარშან, აჯანყების დაწყობის დროსაო, მაგრამ ოღონდ სერბიამ ერთი გაიმარჯვოს და ოსმალები ხეირიანათ დაამარცხოსო, და მაშინ ესენიც ხელ-ახლად გამხნევდებიან, ხელ-ახლად გაცხარდება ბრძოლა, ენერგა მოემატება აჯანყებულებსაო.

ავსტრო-ვენგრია. გუშინწინდელ „თფილისის მოამბეში“ დაბეჭდილია პარიჟიდამ მიღებული დეპეშა, რომელიც გვაცნობებს, რომ ავსტრიის მმართებლობამ ბრძანება გამოსცაო, რომ ერთი ნაწილი ავსტრიის ჯარისა საომრად მზად იყვესო.

შეადარეთ ამ ამბავს ქვემო მოყვანილი ცნობანი, რომელნიც ამას წინათ იბეჭდებოდნენ უცხო ქვეყნის გაზეთებში, და მაშინ გაიგებთ ამ ტელეგრამმის ნამდვილ ჰაზრს: საქმე იმაშია, რომ ამჟამად მარტო ოსმალოს სლავიანებში კი არ არის მოძრაობა და თავის მპყრობელისაგან განთავისულების სურვილი და იმედი; ამგვარიეე, თუმცა უფრო სუსტი, მოძრაობა და სურვილი გავრცელებულია აგრეთვე ავსტრიის სლავიანებშიაცა. ამათაც დიდ ხანია ჰსურთ ავსტრიის დამოკიდებულებისაგან განთავისუფლდნენ და თავისუფალი ცხოვრება შეიძინონ.

სერბიის ახალგაზდების პარტია სამხრეთ ვენგრიის სერბიელებს უქადაგებს ადგომას, ავსტრიისა და ვენგრიის სიძულვილსა და უკამყოფილებას სთესავს. ამ ახალგაზდების მეცადინეობით აქედამ ძალიან ბევრ ფულს, იარაღს და ეოლონტერებს აგზავნიან ამჟამად სერბიის დასახმარებელადა.

ყველა ეს გარემოება, უეჭველია, აშინებს ავსტრიის მმართებლობას და ამის გამო საომრად ემზადება, რომ ვინიცობაა სლავიანები არ აღსდგნენ და იმისაგან განთავისუფლება არ გაიზრახონ.

აი ამით აიხსნება აგრეთვე გუშინდელი დეპეშა, რომ მმართებლობამ დაატყვევა რამდენიმე წევრი „ომლადინისა (ახალგაზდების) საზოგადოებისა ვენგრიაში, რადგან ისინი სლავიანების მოძრაობას თანაუგრძნობენო.

საფრანგეთი. ერთს ნემეცურს გაზეთში დაბეჭდილია პარიჟიდამ მიღებული კორრესპონდენცია, რომელშიაც იწერებიან, რომ ამის წინაზე ტიერი წინააღმდეგი იყო იმისიო, რომ საფრანგეთს რაიმე კავშირი და საერთო პოლიტიკა დაეჭირა რუსეთთანო; მაგრამ ამ ბოლოს დროს ის თან-და-თან რწმუნდებაო, რომ ეს კავშირი და ერთობა საფრანგეთისათვის ძალიან სასარგებლო იქნებაო, და ამის გამო ახლა ყველას უქადაგებს რუსეთის პოლიტიკასთან ერთად საქმის დაჭერასაო. თვითონ ბამბეტტასაც ძალიან იმედი აქვს თურმე რუსეთისა; ის პირ-და-პირ არ აცხადებს რუსეთის პოლიტიკასთან შეერთებას და არც საზოგადოდ სხვა რომელსამე სახელმწიფოსთან; ის ამბობს თურმე, საფრანგეთი ჯერ-ჯერობით ყველა მოკავშირეებისაგან თავისუფალი უნდა იყოსო, იმისთვის რომ, როცა გაჭირება დაადგება, როცა მომხრეები დასჭირდება, იმას მიემხრობა, ვინც იმ დროს უფრო სასარგებლო იქნება საფრანგეთისთვის.

— 12 (24) ივნისს ჩვეულებრივად უდღესასწაულნიათ ვერსალში დაბადების დღე პირველი საფრანგეთის რევოლიუციის რესპუბლიკელი ღენერლის ჰოშისა. ყოველ წელიწადს იციან ხოლმე ამ დღეს საფრანგეთში ჰოშის დღეობა და რესპუბლიკელი ორატორები ამ ბანკეტზე სიტყვას წარმოსთქვამენ ხოლმე. წლევანდელ დღესასწაულზედ, სხვათა შორის, სამს რესპუბლიკელ დეპუტატს წარმოუთქვამთ სიტყვა, სენატორს ფერეს, ალბერ შოლისა და ბამბეტტას.

ორი აქ მოყვანილი ორატორი ლაპარაკობდა იმაზე, რომ სენატსა და ნაციონალურ კრებას შუა განხეთქილება სასიკეთო არ იქნება საფრანგეთისთვისაო და ამის გამო ორივე პალატა თანხმობით, ერთად მოქმედებას უნდა ცდილობდნენო.

ბამბეტამ საფრანგეთის გარეშე პოლიტიკაზე ილაპარაკა. ის არწმუნებდა მსმენელთა, რომ რესპუბლიკური მმართველობა ყოველთვის და ყველგან მშვიდობიანობის მომხრე არისო. „ახლა რომ საფრანგეთში მონარხია იყოსო, სთქვა ბოლოს ბამბეტტამ, ევროპის მშვიდობიანობა, უეჭველია, დარღვეული იქნებოდა და ომი მარტო სერბიასა და ოსმალოს შუა კი არა, უმთავრესს სახელმწიფოებს შუაც ატყდებოდა“.

— თფილისში მოსულს ერთს ტელეგრამმაში სწერია, რომ ევროპის უმთავრესს სახელმწიფოებს კიდეე იმედი არ დაჰკარგვიათო, რომ სერბიასა და ოსმალეთს შუა განხეთქილება შეაჩერონ და ომიანობა არ მოხდესო.

ახირებულია, ახლა რაღა დროს იმედია, როცა ომი და შეტაკება ამ ორ სახელმწიფოს შუა კიდევაც დაიწყო? თოფის წამალი და ყუმბარები მოარიგებენ ახლა მებრძოლთა!

— ამ თვის 23 პარიჟში მიცვალებულა რესპუბლიკელი კაზიმირ პერიე, რომელიც, ტიერის პრეზიდენტობის დროს, შინაგან საქმეების მინისტრად იყო საფრანგეთში.

ნარევი

ახირებული ბედის კაცი ყოფილა ელიოტი — ახლანდელი ინგლისის ელჩი სტამბოლში. რომელ ხელმწიფესთანაც კი გაუგზავნია ის ინგლისის მართებლობის ელჩად, ითქმის ყველანი გადაუყენებია ხალხს ტახტიდამ. ასე: ის ყოფილა საბერძნეთში ინგლისის ელჩად, როდესაც ბერძნებს კოროლი ოტტონი გადაუგდიათ ტახტიდამ; ნეაპოლში ყოფილა ფრანჩესკო რომ ჩამოაგდეს იმ დროს; მადრიდში — ესპანიის კოროლევის იზაბელლას ტახტიდამ ჩამოგდების დროს და ახლა, სტამბოლშიც იმ დროს იყო ელჩად, როდესაც საწყალ ხონთქარს აბდულ-აზისს ოსმალეთის ტახტზე უარი ათქმევინეს და არათუ მარტო ტახტზე, თვით სიცოცხლეზედაც ხელი ააღებინეს!

* * *

საბრალო ოსმალოს ქალები! ახალი ხონთქრის ასვლა ოსმალეთის ტახტზე იმათ მხოლოთ ერთის მხრით შეეხება: ექნებათ იმათ ნება, რომ პირბადე აიხადონ, თუ არა? ხონთქრის დედაა იქ ქალების მბრძანებელი და უფროსი; თუ ამან აიხადა პირბადე, მაშინ სხვა ქალებსაც შეუძლიან; თუ არა და ვერც სხვები გაბედვენ. მურადი რომ გამეფდა, ქალებს იმედი მისცემიათ, რომ ევროპიული წესები უნდა შემოიტანოს ჩვენს ქვეყანაშიო და იქნება პირბადის ახდის ნებაც მოგვეცესო. მართლაც, ჯერ ხონთქრის დედას გამოუცია ბრძანება, რომ შეიძლება უფრო თხელი, გამსჭვერი პირბადე გაიკეთონ ქალებმო. ბანსაკუთრებით ლამაზ ქალებს ეს გარემოება, რასაკვირველია, გაახარებდა. მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებული ამათი ხიხარული: ამ დღეებში ამავე ხონთქრის დედას ახალი ბრძანება გამოუცია, რომ ისევ სქელი პირბადე დაიფარეთ სახეზედაო, რომ პირის-სახე არ გამოჩნდესო.

* * *

პარიჟის მუნიციპალურს რჩევაში ორმოცი კაცისაგან კომიტეტი შემდგარა, რომ 1878 წელს ვოლტერისა და ჟან-ჟაკ რუსოს დღეობა იდღესასწაულონ, რადგან ამწელს ასი წელიწადი შესრულდება, რაც ეს ორი საფრანგეთის გამოჩენილნი მწერალნი დაიბადნენ.

* * *

ამბობენ, რომ პარიჟის მსოფლიო გამოფენა ერთი წლით გადაუდვიათ, ასე რომ 1878 წლის მაგიერად 1879 წელს იქნებაო, რადგან მანამდინ გამოფენისათვის შენობის მომზადებას ვერ მოახერხებენო.

* * *

ერთი პატიოსანი, ყველასაგან პატივცემული გლეხი ცხოვრებდა ქიევის გუბერნიის დაბას ქობიჟჩას. სახელად ამ გლეხს ბეზშტანნიკი ერქვა (ქართულად რომ გვარის გადათარგმა შეიძლებოდეს, „უნიფხოშვილი“ გამოვა). ქობიუჩას თორმეტი ათასი მოსახლეა და ამ ბეზშტანნიკს ყველანი იცნობდნენ, რჩევისთვის და დარიგებისათვის ამასთან მიდიოდნენ, როცა სოფელში რაიმე დავა და უთანხმობა ატყდებოდა გლეხებს შუა. ჭკვიანი, მოლაპარაკე და მოუსყიდველი პატიოსნების კაცი იყო.

ადგილობრივ ბატონებს არ უყვარდათ ეს ბეზშტანნიკი, რადგან ყოველთვის, როცა ისინი ხამი გლეხების შევიწროებასა ან დაჩაგვრას მოინდომებდნენ, ბეზშტანნიკი ამ გლეხების მხარეს იჭერდა და ხშირადაც იცავდა იმათ, თუ სოფლის სასამართლოსა და თუ მომრიგებელ მოსამართლესა და შუამავალთან.

დიდი ხანია, მებატონეები მიზეზს ეძებდნენ თურმე, რომ ეს გლეხი როგორმე გაესტუმრებინათ ამ დაბიდამ და ამ ნაირად კბილის მატლი თავიდამ მოეშორებინათ. დიდხანს ვერა მოუნახეს რა, რადგან სწორი და პატიოსანი კაცი იყო. ბოლოს ერთი რაღაც უბრალო მიზეზი აუტეხეს, უჩივლეს და იქამდი მიიყვანეს საქმე, რომ ეს გლეხი ამ დაბიდამ მართლაც სხვაგან გადაასახლეს.

საქმე იმაში ყოფილა, რომ ერთს ვიღაც გლეხს ქურდობაზე წასწრებიან, ბევრი უცემიათ და მკვდარ-ცოცხალი დაუგდიათ. ბეზშტანიკის მეზობლად მომხდარა ეს საქმე. ქურდი ბოლოს წამოცოცხლებულა, ამდგარა და ფორთხით მისულა ბეზშტანნიკთან, რადგან იცოდა, რომ ეს შემბრალებელი და კეთილი კაცი არისო, და ღამის გათევა უთხოვნია. ბეზშტანნიკს არც კი სცოდნია, თუ რისგან ან ვისაგან იყო ეს კაცი გალახული: შემოუშვია შინ და მოუვლია. აი ეს ამბავი დაიხვიეს თითზე მებატონეებმა, იმწამსვე იჩივლეს, რომ რაც ჩვენს დაბაში ავაზაკები და ცუდი კაცები არის, ყველას ის იფარავსო, ყველას იმასთან აქვს ბინაო და სხვ. და გთხოვთ გადაასახლოთ აქედამ ეს საზოგადოების მავნებელი კაციო. და მთავრობამ მართლაც დაუჯერა მემამულეებს და ბეზშტანნიკი გადაასახლეს....

განცხადებანი

კავკასიის ნამესტნიკის მთავარ სამმართველო ამით აცხადებს, რომ, კავკასიის კომიტეტისაგან ამ წლის 26 მაისის უმაღლესად დამტკიცებულის წესდებულებით, დადგენილია ზოგიერთი ცვლილებანი, დამატებანი და მოსპობა სასმელების გადასახადის წესდებისა, რომელიც კავკასიის აქეთა მხარეს შეეხება. უმთავრესნი მუხლნი ამ ახალ გამოცემულ დადგენილებათა არიან შემდეგნი:

1). პურის სპირტისა და ღვინის აქციზი კავკასიის აქეთა მხარეს ამ წლის 1 იელისიდამ გასწორებულია დანარჩენი რესეთის აქციზთან, რომელიც შეადგენს 7 კაპეიკს უწყლო სპირტის ვედროზედ.

2) ულუდნისა და ხილის არაყის აქციზი შემდეგია დადგენილი: ულუდნისა და უმი ხილის არაყზე: ა) რომელსაც უბრალო ცეცხლის ქარხანაზე ხდიან კუბის სიდიდე ვედროზე გადახდება დღეში — ხუთი შაური, და ბ) რომელსაც ორთქლის ქარხანაზე ხდიან — ორი აბაზი და ერთი კაპ. ვედროზედ დღეში; ქიშმიშისა და ხმელი ხილის არაყზე, ცეცხლის ქარხანაზე, კუბის სიდიდე ვედროზე დღეში — ორი მანეთი და თექვსმეტი კაპეიკი გადახდება და ორთქლის ქარხანაზე — სამი მანეთი და ოთხმოც-და-ცამეტი კაპ.

3) პატენტის (მოწმობის) გადასახადი იგივე დარჩება, რაც ადრე იყო, ე. ი. რაც 13 თებერვალს 1873 წელს დაწესდა.

4) ხილის არაყის ქარხნებზე, საც არაყს მარტო თავის საკუთარი ხილისაგან არ ხდიან, არაყის სახდელი ქვაბები ყველა ერთად 50 ვედროზე მეტი არ უნდა გამოდიოდეს.

5) ის უპირატესობა, რომელიც, სასმელთა წესდების სტატიის 177, შენიშვნის 2-ძალით, მინიჭებული ჰქონდათ კავკასიის აქეთა მხრის ბაღის მეპატრონეებს, მოისპობა, და ნაცვლად მისა მიეცემათ, უფლება, (დამატება 166 და 173 სტ.), რა ზომისაც ჰსურთ, იმ ზომის არაყის ქვაბები იქონიონ, მხოლოთ 50 ვედროზე ნაკლები და აიღონ არაყის გამოხდის სურვილის მოწმობა, მხოლოთ შვიდ დღეზე ნაკლების ვადით. და

6) ხელ-ახლად ძალა მიეცემა კავკასიის აქეთა მხარესა სასმელთა წესდების 285 მუხლს, რომლის ძალითაც ღვინისა და არაყის სიმაგრე შენახვისა და გაყიდვის დროს არა ნაკლებ 40% (გრადუსი) უნდა იყოს ტრალლასის სპირტომეტრითა. (3—1)

ბაიქცა ძაღლი, კობელი, თეთრი, შავი წერტილები აქვს ზურგზე და პირზე, მარჯვენა თვალზე თეთრი ლაქა აჩნევია. მნახველს სთხოვენ მოიყვანოს თამამშვილის სახლებში, სადაც სამხედრო ოლქის სასამართლოა, № 6, რისთვისაც საჩუქარს მიიღებს. (3—1)

LA VELOUTINE

(ველუტინი)

ერთნაირი ბრინჯის პუდრი (უმარილი), ბისმუტით გაკეთებული.

ისეთი ზედმოქმედება აქვს ადამიანის ხორცის კანზე, რომ ალბობს და ახალგაზდა ადამიანის კანს დაამსგავსებს.

ქანს ეკერება და არა სჩანს.

შ. ფაი — გამომგონი

pommade satin

(ატლასის პომადა)

ხელების კანის რბილად შესანახავად; ზამთარში არ დაუსკდება ხელის კანი, ვინც ამ პომადას ხმარობს.

9, Rue de la Paix, Paris

156—43

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	36	4	54				
მცხეთა. . .	—	—	—	—	-	68	-	38
ბორი . .	12	21	8	41	2	40	1	23
ხაშური . .	2	—	11	10	3	92	2	18
ბეჟათუბანი	—	—			4	42	2	46
ყვირილა .	—	—			5	81	3	23
ჭუთაისი. .	8	23			6	75	3	75
სამტრედია .	—	—			7	73	4	29
ახ.-სენაკი .	—	—			8	57	4	76
ფოთი. . .	11	44			9	75	5	42
ფოთი . .	8	40						
ახ.-სენაკი.	—	—			1	18	-	66
სამტრედია.	—	—			2	6	1	14
ჭუთაისი .	11	51			3	4	1	69
ყვირილა. .	—	—			3	98	2	21
ბეჟათუბანი	—	—	ღამე		5	33	2	96
ხაშური . .	5	41	1	6	5	84	3	24
ბორი . .	7	23	3	6	7	36	4	9
მცხეთა . .	—	—			9	8	5	4
თფილისი .	10	16	7	24	9	75	5	42

ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ მიდის:

ოდესისკენ — შაბათს დილის 8 საათ.

სტამბოლს — კვირაობით, დილას.

ბ) ოდესსიდამ:

ფოთისკენ — ორშაბ. ნასად. 3 საათ.

სტამბოლს — ოთხშაბათს, შუადღეზე

ფოთიდამ:	I		II		III	
სოხუმამდი .	4	„	3	„	1	„
ჭერჩამდი. .	20	50	15	50	5	„
ტაგანროგ.	34	„	27	„	8	60
ოდესსამდი.	38	„	30	„	9	60

ტელეგრაფი

ოცი სიტყვა თფილისიდამ:	მ.	კაპ
ჭუთაისს, ფოთს . .	1	—
ბორს, დუშეთს, სიღნახს		50
როსტოვს ოდესას მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში.	3	75

ფოსტა

ა) თფილისიდამ:

სამზღვარ გარეთ, ჭუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს — პარასკ და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. ახალციხეს — სამშ. და შაბ.

ბ) ჭუთაისიდამ:

თფილისისა და ფოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდიდს — ოთხშაბ.

გ) ბორიდამ.

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) ფოთიდამ:

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ
ლია წიგნის	4
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	8

ბირჟა

	მან.	კაპ
პეტერბურგი, 23 თებათ.		
ერთი მანეთი ლირს:		
ლონდონში 32 პენსი.	—	84
პარიჟში 334 სანტიმი.	—	89
მსკონტი (სარგებლისფასი)	6	—
ბანკის ბილეთი 5%	100	25
მოგებიანი (პირველისესხი)	203	—
მოგებიანი (მეორე სესხი)	201	75
ბირაოს ფურცლები:		
თფილ. საბნ. ბანკისა.	—	--
ხერსონის ბანკის ($5^1/_2$)	88	—
მოსკოვის (5%). . . .	86	75
აქციები:		
ოდესის სავაჭრო ბანკის	172	—
ფოთი-თფილ. რკინ. გზის	139	50
შავიზღვის ცეცხ. გემების	530	—
ქავკაზის და მერკურის. .	168	—
პირვ. საზღვევ. საზოგ.	665	—
პეტერბ. საზღვევ. საზ.	263	—
მოსკოვის საზღვევ. საზ.	257	65

მაზანდა

	მან	კაპ
თფილისი, 26 თებათ.		
პური შორაგალის ფთ.	—	80
ჭერი ფუთი. . . .	—	60
ბამბა ერევნისა, ფუთი .	5	50
— ამერიკისა, ფუთი. .	6	30
ბაპენტილი ბამბა ფთ.	8	—
მატყლი თუშური ფთ .	7	50
— თარაქამისა ფთ. .	7	50
აბრეშუმი ნუხური გრ.	2	60
ჭონი, ფუთი. . .	4	—
ჭონის სანთელი ფუთი.	5	60
სტეარინის სანთელი, ფ.	10	20
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	60
— ცხვრისა, ლიტრა. .	—	70
სპირტი, ვედრო. . .	6	60
შაქარი, ბროც. ფუთი .	7	10
— ფხვნილი ფუთი . .	6	—
ყავა გრგვალი ფუთი .	20	—
ზეთი ქუნჯუთისა ფთ.	5	50
ოქრო $^1/_2$ იმპერიალი. .	6	18

Дозволено цензурою. Тифлисъ, 27 Іюня 1876 г. Типографія Меликова и К°. გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.